ახალგაზრდა გოგონებისა და ქალების გაძლიერება კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობის დანერგვისა და განხორციელებისათვის

მარნეულის გოგონების გაძლიერების კლუბი
ინტერესთა გამოხატვის კონკურსი

CENN იწვევს ახალგაზრდა გოგონებსა და ქალებს მარნეულის მუნიციპალიტეტიდან გოგონების გაძლიერების კლუბში გაწევრიანებისთვის.

მარნეულის გოგონების გაძლიერების კლუბი

მარნეულის გოგონების გაძლიერების კლუბი შეიქმნა პროექტის „კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობა - PRAISE Marneuli" ფარგლებში. პროექტი CENN-ის მიერ HEKS-EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. გოგონების გაძლიერების კლუბის მიზანია მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა გოგონებისა და ქალების ცნობიერების ამაღლება სოფლის მეურნეობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი გამოწვევების, კლიმატის ცვლილების, კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობის შესახებ და მათი ჩართულობის ხელშეწყობა, ადგილობრივ დონეზე, კლიმატის მიმართ მდგრადი და ეკომეგობრული პრაქტიკების დანერგვასა და განხორციელებაში.

მარნეულის გოგონების გაძლიერების კლუბი არის ადგილობრივი დონის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა ჯგუფს შორის პარტნიორობას ერთობლივი ინიციატივების განხორციელების გზით.

გოგონების კლუბის წევრების გაძლიერებისათვის, პროექტი უზრუნველყოფს შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებებს (ღია დისკუსიები, ფილმის ჩვენება-დისკუსიები, შეხვედრები წარმატებულ ქალებთან, საზაფხულო მწვანე ბანაკები).

რატომ კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობა?

შეცვლილი კლიმატური პირობები საფრთხეს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებასა და სოფლის მეურენობაში ჩართული ადამიანების საარსებო წყაროებს, ვინაიდან იზრდება ექსტრემალური ამინდის მოვლენების სიხშიზე და შესაბამისად, მათთან დაკავშირებული რისკები და მეურნეობებისთვის მიყენებული ზიანი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს სოფლად შიმშილისა და სიღარიბის დონეს.

კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობა ხელს უწყობს არაპროგნოზირებად კლიმატურ პირობებთან ადაპტაციას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის შენარჩუნებას და ჩვენს ხელთ არსებული ბუნებრივი რესურსების გონიერ მოხვარებას.

კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობის დანერგვისა და განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანია ახალგაზრდების, როგორც ცლილებების აქტორების ჩართულობა, რადგან სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ მდგრადი და ინოვაციური გადაწყვეტების წყაროს.

გოგონების კლუბის საქმიანობის შესახებ

გოგონებისკლუბისმთავარიმიზანიაახალგაზრდაგოგონებისადაქალებისჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობის განხორციელებაში და მარნეულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა.

ამ მიზნით, გოგონების კლუბის საქმიანობა იყოფა 5 ძირითად მიმართულებად:

- *ღია თემატური დისკუსიები;*
- *შეხვედრები წარმატებულ მეწარმე ქალებთან;*
- *თემატური ფილმის ჩვენება-დისკუსიები;*
- *სათემო ინიციატივების განხორციელება;*
- *არსებული შესაძლებლობების გაზიარება, CENN-ის და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში (ტრენინგები, კონფერენციები, საგრანტო კონკურსები, ბანაკები) ჩართვა.*

პროექტის ფარგლებში გოგონების კლუბის წევრებისათვის შესაძლებლობების განვითარების აქტივობები დაგეგმილია 2024 წლის ჩათვლით. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს კლუბის ორგანიზაციულ გაძლიერებას, რათა უზრუნველყოს მისი მდგრადი ფუნქციონირება პროექტის დასრულების შემდეგაც. შესაბამისად, შერჩეული წევრები უნდა გამოხატავდნენ მზაობას, გრძელვადიანი ვადით ჩაერთონ გოგონების კლუბის საქმიანობაში.

რას გთავაზობთ ჩვენ?

- *ცოდნის ამაღლებას;*
- *თქვენს თემში არსებული პრობლემების მოგვარებაზე მუშაობას;*
- *კავშირებისა და კონტაქტების შეძენას;*
- *წვდომას ინფორმაციასთან და შესაძლებლობებთან*

ტექნიკური საკითხები

გოგონების კლუბი ღიაა მოტივირებული, წინსვლაზე, პოზიტიურ ცლილებებზე, საკუთარი თავისა და ადგილობრივი თემის განვითარებაზე ორიენტურიებული ახალგაზრდა გოგონებისა და ქალებისათვის.

ინტერესთა გამოხატვის კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 16-25 წლის ახალგაზრდა გოგონებსა და ქალებს მარნეულის მუნიციპალიტეტიდან.

<u>პროგრამაში მონაწილეობის ეტაპები</u>

წევრების შეჩევა განხორციელდება 2 ეტაპად:

1. *სარეგისტრაციო ფორმის შევსება - განაცხადები მიიღება 2022 წლის 17 ივლისის ჩათვლით.*
2. *გასაუბრება - შეჩეულ კანდიდატებთან ჩატარდება გასაუბრება 2022 წლის 20 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით.*

<u>წევრების შერჩევის კრიტერიუმები</u>

1. *მარნეულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრები 16-25 წლის ახალგაზრდა გოგონა/ქალი;*
2. *გოგონების კლუბის საქმიანობაში ჩართვის მთავარი მოტივატორები;*
3. *ადგილობრივ დონეზე არსებული სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებაზე მუშაობის სურვილი;*
4. *შესაბამისი ცოდნითი ენერგიის გამოყოფა და გოგონების კლუბის საქმიანობაში აქტიურად ჩართვა*

CENN-ის შესახებ

CENN რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვას მდგრადი განვითარებისა და მწვანე ზრდის ხელშეწყობის გზით სამხრეთ კავკასიაში. CENN-ის ექსპერტიზა ფარავს რამდენიმე სფეროს: კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობ, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა, კლიმატის მიმართ მედეგი, ჯანრთელი და ეკონომიკურად ძლიერი თემების მშენებლობა, ქალებისა და გოგონების გაძლიერება, ახალგაზრდების გაძლიერება.

პროექტის შესახებ

„კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობა-PRAISE MARNEULI" არის 4 წლიანი პროექტი, რომელსაც CENN ახორციელებს 2021 წლიდან HEKS-EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანია მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისათის შემოსავლის შექმნის შესაძლებლობების გაზრდა გარემოსადმი მეგობრული და კლიმატის მიმართ მდგრადი სოფლის მეურნეობის დანერგვის, განვითარებისა და პოპულარიზების გზით. პროექტი ორიენტირებულია მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული სათემო ინსტიტუტების, ფერმერების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების გაძლიერებაზე ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (HRBA) გათვალისწინებით.

საკონტაქტო ინფორმაცია

CENN-ის ოფისი მარნეულში, გიორგაძის ქუჩა №1

ნილუფერ კულბანოვა

nilufer.kurbanova@cenn.org

+995 599 02 30 90

მარიკო წიქორიძე

mariko.tsikoridze@cenn.org

+995 599 63 04 24

HEKS EPER

ვამაყობთ მრავალფეროვნებით

ČENN

Shaping the Future by Changing Today